



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მატიტელა (*Polygonum*)



მატიტელა,
წყლის დვალურა.

მატიტელა (*Polygonum*), მცენარეთა გვარი მატიტელასებრთა ოჯახისა. ძირითადად ერთწლოვანი და მრავალწლოვანი ბალახებია, იშვიათად – ბუჩქბალახები და ბუჩქები. აქვთ სწორმდგომი, გართხმული, ზოგჯერ ხვიარა ღერო, 4–6-ფურცლიანი გვირგვინისებრი ყვავილსაფარი და სამწახნაგოვანი ნაყოფი.

გვარში 300-მდე სახეობაა. უმეტესად გავრცელებულია ზომიერ და ტროპ. ოლქებში. საქართველოში 28 სახეობა იზრდება, მ. შ. ხალხში კარგადაა ცნობილი შემდეგი სახეობები: წართხალი (*P. alpinum*), წყლის დვალურა (*P. amphibium*), ჩვეულებრივი მ. (*P. aviculare*), დვალურა (*P. carneum*), ყანის ჭლექი (*P. convolvulus*), ღობისძირა (*P. dumetorum*), წალიკა (*P. hydropiper*) და სხვ. ზოგი მათგანი აბეზარი სარეველაა, ზოგს ხალხურ მედიცინაში იყენებდნენ,

ზოგი კი ცხოველთა და ფრინველთა (განსაკუთრებით ბატების და ინდაურების) საკვებია.

შ. ნახუცრიშვილი
